ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. აპრილის 29 № 12 თბილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

48. არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.
49. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.
50. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლების შეცვლის შესახებ.
51. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის 1 ნაწილის სანქციის რედაქციის შეცვლის შესახებ.
52. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

53. 1938 წლის მოსავლის ჩაის მწვანე ფოთლის დამზადებისა და კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.
54. 1938 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.
55. წესები 1938 წლის საზაფხულო კრეფის ჩაის ძირითადი ფოთლის მიღებისა.
56. საქართველოს სსრ-ში 1938 წელს ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქმი № 1 1960 წლის 30 ნოემბერი 21 მუხ. 209.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

912.2

48. არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

აღნიშნავენ რა საქართველოს სსრ არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ დაყენებას და ითვალისწინებენ რა, რომ:

პირველი, რუსული ენის ცოდნა უნდა იყოს სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან ქართველი ხალხის კავშირისა და ურთიერთობის მძლავრი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს მის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ ზრდას;

მეორე, რუსული ენის დაუფლება ხელს უწყობს ნაციონალური კადრების შემდგომ გაუმჯობესებას მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის დარგში,—საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სსრ სკოლებში რუსული ენის სწავლების საქმის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით,—ადგენენ:

1. 1938 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნას რუსული ენის, როგორც შესასწავლი საგნის, სავალდებულო სწავლება საქართველოს სსრ ყველა დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო არარუსულ სკოლებში მე-3 კლასიდან.

2. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო არარუსული სკოლების მოწაფეთათვის რუსულ ენაში განისაზღვროს ცოდნის შემდეგი მოცულობა:

ა) მოწაფეებმა, რომლებიც დაწყებითს სკოლას (4 კლასი) ამთავრებენ, უნდა მიიღონ რუსული სიტყვების მარაგი, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ესმოდეთ მარტივი სალაპარაკო ენა, გადმოსცენ რუსულ ენაზე მათთვის ცნობილი მოვლენანი გარემო ცხოვრებიდან, დაუფლებული იყვნენ რუსულად კითხვისა და წერის ელემენტარულ ჩვევებს;

ბ) მოწაფეებს, რომლებიც არასრულ საშუალო სკოლას (7 კლასი) ამთავრებენ, უნდა შეეძლოთ თავისი აზრის თავისუფლად და სწორად გამოხატვა რუსულ ენაზე, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, ჰქონდეთ მათი ასაკის შესაფერი წიგნით დამოუკიდებლად სარგებლობის ჩვევები, მიიღონ რუსული გრამატიკისა და სინტაქსის საფუძველთა ცოდნა და ზოგიერთ მაგალითებზე გაეცნონ რუსულ ლიტერატურას;

გ) მოწაფეებმა, რომლებიც საშუალო სკოლას (10 კლასი) ამთავრებენ, უნდა იცოდნენ რუსული ენის ძირითადი კანონები და წესები, მათ უნდა შეეძლოთ თავისუფლად კითხვა, ე. ი. მხატვრული და მეცნიერული ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გაგება და ზეპირად და წერილობით გადმოცემა წაკითხულის შინაარსისა, აგრეთვე თავისი აზრებისა სწორი რუსული ენით.

3. შეტანილ იქნას ცვლილებანი დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო არარუსული სკოლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების მომქმედ სასწავლო გეგმებში და მათში რუსული ენის სწავლებას დაეთმოს სასწავლო კვირაში:

ა) დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში:

III	კლასი	4 საათი
IV	„	4 „
V	„	5 „
VI	„	5 „
VII	„	5 „
VIII	„	4 „
IX	„	4 „
X	„	4 „

ბ) პედაგოგიურ სასწავლებლებში:

I	კლასი	5 საათი
II	„	5 „
III	„	5 „

შენიშვნა: აფხაზეთისა და ოსეთის არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში, სადაც განსაკუთრებული პირობების გამო V კლასიდან რუსული ენა წარმოადგენს ყველა საგნის სწავლების ენას, ახალი სასწავლო გეგმის მოქმედება გავრცელებულ იქნას მხოლოდ III და IV კლასებზე.

4. შემოღებულ იქნას რუსული ენის სავალდებულო სწავლება საქართველოს სსრ ყველა უმაღლესი სასწავლებლის პირველ სამ კურსზე და აღნიშნული კურსების სასწავლო გეგმებში ამ მიზანს დაეთმოს 360 საათი, ხოლო იმ სამასწავლებლო ინსტიტუტებში, სადაც სწავლების კურსი ორწლიანია,—210 საათი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს, რუსული ენის შესწავლის იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ამ დადგენილებაში, ერთი თვის ვადაში გადაამუშაოს რუსული ენის არსებული პროგრამები არარუსული სკოლებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს უზრუნველჰყოს ქართული საშუალო სკოლის III—VII კლასებისათვის რუსული ენის არსებული სახელმძღვანელოების გადამუშავება, ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით და მათი გამოცემა 1938 წლის 1-ლი სექტემბრისათვის, აგრეთვე შედგენა და ამავე ვადისათვის გამოცემა რუსული ენის გრამატიკისა ქართული სკოლებისათვის, სკოლაში სახმარი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონებისა და რუსული ენის სახელმძღვანელოების თვალსაჩინო ხელსაწყოებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ განსახკომს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას უზრუნველჰყონ შედგენა და 1938 წლის 1 სექტემბრისათვის გამოცემა რუსული ენის სახელმძღვანელოებისა აფხაზური და ოსური დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების II—IV კლასებისათვის, აფხაზური და ოსური ენების თავისებურებათა და ადგილობრივი სინამდვილის გათვალისწინებით.

დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს აღმოუჩინოს აუცილებელი დახმარება აფხაზეთის ასსრ განსახკომს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას აღნიშნულ სახელმძღვანელოთა შედგენასა და გამოცემაში.

8. არარუსული სკოლებისათვის რუსული ენის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების სისტემატურად მომზადების მიზნით, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს 1938 წ. 1-ლი სექტემბრიდან მოაწყოს რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებანი გორის, სტალინირისა და ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტებში ყოველწლიურად 40 კაცის მიღების კონტინგენტით და დააწესოს მიღების კონტინგენტი რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—200 კაცის, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში—90 კაცის, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში—50 კაცის, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში—70 კაცის რაოდენობით.

9. 1938 წ. 1-ლი სექტემბრიდან ასპირანტების რაოდენობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან გადიდებულ იქნას 25 კაცამდე.

10. ვინაიდან აუცილებელია რუსული ენის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მშობლიური ენის ცოდნა, შეტანილ იქნას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ყველა უმაღლესი სასწავლებლის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებათა სასწავლო გეგმებში და გაუმჯობესებულ იქნას ქართული ენის სწავლება თბილისის რუსულ პედაგოგიურ სასწავლებელში.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს მოაწყოს სპეციალური კურსები რუსული ენის მასწავლებელთა გადასამზადებლად იმ ანგარიშით, რომ 1940 წლის 1-ლი სექტემბრისათვის უზრუნველჰყოს კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გავლა რუსული ენის იმ მასწავლებელთა მთელი არსებული შემადგენლობის მიერ, რომლებსაც გადამზადება ესაჭიროებათ.

12. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს და ფინსახკომს ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად რუსული ენის მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების ხარჯთაღრიცხვა 1938 წლისათვის.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს სისტემატურად წარმოუდგინოს ხოლმე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. აპრილის 13. № 256/444.
თბილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის„ 86 №-ში 1938 წ. აპრილის 15.

[illegible] 1961 წლის 28 [illegible]
[illegible] № [illegible] 117.

49. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 4 მარტის დადგენილებისა „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ქვემდებარეების შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 8, მუხ. 52), საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებაში (საქ. სსრ. კან. კრ. 1934 წ. № [illegible] მუხ. 50; 1935 წ. № 16, მუხ. 118; 1937 წ. № 20. მუხ. 151):

1. მე-3, მე-7 და მე-8 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს წარმოადგენენ:

ა) სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან განყოფილებით ქ. ქუთაისში განსაზოგადოებული სექტორის იმ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი დავის განსახილველად, რომლებიც მდებარეობენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) ადგილობრივი სახელმწიფო არბიტრაჟები აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს:

ა) 1000 მანეთზე არანაკლები თანხის გამო აღძრულ დავას, რომელშიაც ერთი ან ორივე მხარე რესპუბლიკური ან ადგილობრივი ქვემდებარების დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაციაა; აგრეთვე 25.000 მანეთზე არანაკლები თანხის გამო აღძრულ დავას სხვადასხვა ავტონომიური ერთეულების (რესპუბლიკა, ოლქი) დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, თუ ამასთან მოპასუხე არ იმყოფება ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ტერიტორიაზე;

ბ) 1000 მანეთიდან ვიდრე 50.000 მანეთამდე თანხის გამო აღძრულ დავას, რომელშიაც ერთი ან ორივე მხარე საერთო-საკავშირო ქვემდებარების ან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების ქვემდებარების დაწესებულებაა, საწარმო ან ორგანიზაცია, როდესაც მოპასუხე იმყოფება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გარდა მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული დავისა;

გ) ამ მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ დავას 50.000 მანეთის ზევით იმ შემთხვევაში, თუ ამ დავის განხილვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს დაავალებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი“.

„8. ადგილობრივი სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს:

ა) მოცემული ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის 1000 მანეთზე არანაკლები თანხის გამო აღძრულ დავას;

ბ) დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის არაუმეტეს 25.000 მანეთის თანხის გამო აღძრულ დავას, მოდავე მხარეების ქვემდებარეების დამოუკიდებლად, თუ ამასთან მოპასუხე იმყოფება მოცემული ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ტერიტორიაზე;

გ) იმ დავას, რომელსაც მის განსახილველად გადასცემს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი“.

2. დაემატოს მე-8[1] მუხლი შემდეგი შინაარსის:

„8[1]. არასათანადო ხარისხის საქონლის, არაკომპლექტური პროდუქციის, არასათანადო ასორტიმენტის, აგრეთვე არამარკირებული, ანდა არასათანადოდ მარკირებული საქონლის მიწოდების გამო წამოჭრილი დავა გადაიჭრება იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სპეციალური ინსტრუქციით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გაუქმდეს მე-2 და მე-3 მუხლები საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 26 ნოემბრის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 20, მუხ. 151).

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. აპრილის 13. № 257/448.
თბილისი.

---

50. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 32 და 204 მუხლებში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 181):

1. ამოღებულ იქნას 32 მუხლის ტექსტიდან შემდეგი სიტყვები: „ან ამიერკავკასიის სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის“.

2. ამოღებულ იქნას 204 მუხლის ტექსტიდან შემდეგი სიტყვები: „ან ამიერკავკასიის სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკის“.

3. შეტანილ იქნას 32 და 204 მუხლების ტექსტში შემდეგ სიტყვებისა „სსრ კავშირის“ სიტყვა „ან“.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. აპრილის 13. № 258/459.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

51. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის 1 ნაწილის სანქციის რედაქციის შეცვლის შესახებ.

„დაწესებული პასპორტის უქონლად ან სათანადო ხელისუფლების ნებადაურთველად საზღვარგარეთ გასვლისა ან სსრ კავშირში შემოსვლისათვის სასჯელის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 5 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 52, მუხ. 423), საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის 1 ნაწილის სანქცია (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 15, მუხ. 94) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ბანაკში მოთავსებას ერთი წლიდან სამ წლამდე“.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. აპრილის 10. № 259/458.
თბილისი.

---

52. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

„სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეების ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 7 აგვისტოს გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 62, მუხ. 360) III კარის 2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72¹ მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 14, მუხ. 86) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „72¹. საზოგადო მომუშავე აქტივისტის, წარმოების დამკვრელის და აგრეთვე

კოლმეურნის ცემა ან მათ მიმართ სხვა ძალადობის ჩადენა მათი საზოგადოებრივი თუ საწარმოო მუშაობასთან დაკავშირებით—უკეთუ ეს მოქმედება თავისი ხასიათის, მისი მოხდენის გარემოებათა ანუ შედეგის მიხედვით არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ტერორისტული აქტი, გამოიწვევს
თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე".

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მაჭარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდივნის მ. ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. აპრილის 13. № 260/457.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

53. 1938 წლის მოსავლის ჩაის მწვანე ფოთლის დამზადებისა და კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1938 წლის ჩაის ძირითად ფოთლის დამზადებისა და კონტრაქტაციის გეგმა 35.000 ტონის რაოდენობით, აქედან:

ა) საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში . . . . . 25.390 ტონა
ბ) „საქართველოს ჩაის" ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში . . . . . 9.050 „
გ) აჭარის ასსრ მიწსახკომის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში . . . . . 300 „
დ) ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხაზით . . . . . 260 „

2. ჩაის უხეში ფოთლის (ლაო-ჩაისათვის) კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 1938 წლისათვის დამტკიცდეს 4.000 ტონის რაოდენობით, აქედან:

ა) საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში . . . . . 2.860 „
ბ) ტრესტ „საქართველოს ჩაის" საბჭოთა მეურნეობებში . . 1.050 „
გ) აჭარის ასსრ მიწსახკომის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში . . . . . 60 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხაზით . . . . . 30 ტონა

3. დამტკიცდეს ჩაის ძირითადი ფოთლის საშუალო მოსავლიანობა რესპუბლიკაში 1 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიდან 2.150 კილოგრამი, აქედან:

საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში . . . . . 2.116 კლგრ.
ტრესტი „საქ. ჩაი"-ს საბჭოთა მეურნეობებში . . . . . 2.236 „
აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით . . . . . 2.521 „

4. დამტკიცდეს ჩაის ძირითადი და უხეში ფოთლის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა რაიონებისა და სექტორების მიხედვით, თანახმად დანართებისა №№ 1, 2, 3, 4.

5. ჩაის ფოთლის კონტრაქტაციისა და დამზადების ჩატარება დაეკისროს ტრესტ „საქართველოს ჩაის".

დაევალოს ტრესტს „საქართველოს ჩაის" ჩაის ფოთლის კონტრაქტაცია დაამთავროს ერთი თვის ვადაში დღიდან დამტკიცებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიღებისა.

6. დამტკიცდეს ჩაის ძირითადი ფოთლის ჩაბარების შემდეგი საშუალო ასორტიმენტი.

. . . . . I ხარისხი 75%
. . . . . II „ 15%
. . . . . III „ 10%

დამტკიცდეს ჩაის ძირითადი ფოთლის ჩაბარების ასორტიმენტი რაიონებისა და სექტორების მიხედვით, თანახმად დანართებისა №№ 5, 6.

7. წინადადება მიეცეს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ქუთაისის საქალაქო საბჭოს და ჩაის რაიონების რაიაღმასკომებს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის, ასორტიმენტის და დამზადების დავალებათა შესაბამისად, დააწესონ არაუგვიანეს 1938 წ. 15 მარტისა თვითეული კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოებისათვის დავალება ჩაის ფოთლის მოსავლიანობის, საერთო მოკრეფის და ასორტიმენტის მხრივ, რის გამო ტრესტ „საქართველოს ჩაიმ" დასდოს საკონტაქტაციო ხელშეკრულებანი თავისი ჩაის ფაბრიკების მეშვეობით.

8. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, საქართველოს სსრ მიწსახკომს და ტრესტ „საქართველოს ჩაის" 1938 წ. 25 მარტისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულების პროექტი და ჩაის ფოთლის მიღების წესები.

9. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს მოაწყოს ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხის ინსპექცია, შეიმუშაოს და 1938 წ. 25 მარტი-

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

გ ე გ მ ა

1938 წელს საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ რესპუბლიკაში ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფისა

რაიონები	ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი 1938 წლისათვის	ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის განაწილება თვეების მიხედვით											
		აპრილი-მაისი		ივნისი		ივლისი		აგვისტო		სექტემბერი		ოქტომბერი	
		%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა
ბათუმის	720,0	24	172,8	14	100,8	24	172,8	24	172,8	12	86,4	2	14,4
ქობულეთის	3600,0	25	900	15	540,0	24	864,0	23	828	11	396	2	72
აჭარის საბჭოთა მეურნ. ტრესტი	300,0	25	75	15	45,0	24	72,0	23	69	11	33	2	6
სულ აჭარაში	**4620,0**	**25**	**1147,8**	**15**	**685,8**	**24**	**1108,8**	**23**	**1069,8**	**11**	**515,4**	**2**	**92,4**
გალის	1750,0	22	385	14	245,0	24	420,0	24	420	14	245	2	35
ოჩამჩირის	920,0	22	202,4	14	128,8	24	220,8	24	220,8	14	128,8	2	18,4
სულ აფხაზეთში	**2670,0**	**22**	**587,4**	**14**	**373,8**	**24**	**640,8**	**24**	**640,8**	**14**	**373,8**	**2**	**53,4**
მახარაძის	6350,0	23	1460,5	14	889,0	24	1524,0	24	1524	13	825,5	2	127
ჩოხატაურის	1050,0	23	241,5	14	147,0	24	252,0	24	252	13	136,5	2	31
ლანჩხუთის	3200,0	23	736	14	448,0	24	768,0	24	768	13	416	2	64
სამტრედიის	200,0	21	42	13	26,0	23	46,0	25	50	16	32	2	4
წულუკიძის	470,0	21	98,7	13	61,0	23	108,1	25	117,5	16	75,2	2	9,4
ქუთაისის	180,0	20	36	13	23,3	24	43,2	26	45,8	15	27	2	3,6
ტყიბულის	375,0	21	78,8	13	48,7	24	90,0	26	97,5	14	52,5	2	7,5
ცხაკაიას	900,0	22	198	14	126,0	24	216,0	24	216	14	126	2	18
გეგეჭკორის	1358,0	22	298,8	14	190,0	24	326,0	24	325,9	14	190,1	2	27,1
ზუგდიდის	2450,0	22	539	14	343,0	24	588,0	24	588	14	343	2	49
წალენჯიხის	837,0	22	184,0	14	117,3	24	200,7	24	201,0	14	117,0	2	17,0
ჩხოროწყუს	750,0	22	165	14	105,0	24	180,0	24	180	14	105	2	15
ხობის	280,0	22	61,6	14	39,2	24	67,2	24	67,2	14	39,2	2	5,6
სულ რესპუბლიკაში	**25690,0**	**28**	**5875**	**14**	**3623**	**24**	**6159**	**24**	**6144**	**13**	**3375**	**2**	**514**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე ბ ვ ი ა

დანართი № 2

1938 წელს ჩაის ძირითადი მწვანე ფოთლის კრეფისა თვეების მიხედვით ტრესტ „საქ. ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებში და ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციებზე.

საბჭოთა მეურნეობების დასახელება	სულ წლის განმავლობაში	მათ შორის თვეობით											
		IV-V		VI		VII		VIII		IX		X	
		%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა	%	ტონა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1. სალიბაურის	385	24	92	15	58	23	89	24	92	12	46	2	8
2. ჩაქვის	1660	25	415	14	232	23	382	24	398	12	200	2	33
3. ოჩხამურის	1300	20	260	16	208	24	312	25	325	12	156	3	39
4. ლაითურის	1200	21	252	16	192	23	276	25	300	12	144	3	36
5. ნასაკირალის	895	21	188	16	143	24	215	25	224	12	107	2	18
6. წულუკიძის	255	22	56	16	41	23	59	25	64	12	30	2	5
7. დიდი-ჭყონის	571	19	108	17	97	25	143	26	148	11	63	2	12
8. ჯოღეჯიანის	572	20	114	18	103	23	132	26	149	11	63	2	11
9. ნარაზენის	837	22	184	16	134	23	193	25	209	12	100	2	17
10. ლესიჭინის	214	22	47	16	34	23	49	25	54	12	26	2	4
11. წალენჯიხის	371	17	63	17	63	25	93	27	100	12	45	2	7
12. აჩიგვარის	540	20	108	17	92	25	135	25	135	11	59	2	11
13. კოდორის	250	22	55	16	40	23	58	25	62	12	30	2	5
ს უ ლ	9050	21	1942	16	1437	24	2136	25	2260	12	1069	2	206
ჩაისა და სუბტროპიკ. კულტ. საკავშ. სამეც. კვლ. ინსტიტუტის პლანტაციებზე	260	23	60	14	36	24	63	24	62	13	34	2	5

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

ბ ე ბ მ ა

ჩაის უხეში ფოთლის (ლაო-ჩაისათვის) მოკრეფისა საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებში 1938 წლისათვის

№№ რიგ.	რაიონების დასახელება	უხეში ფოთლის მოკრეფის გეგმა ლაო-ჩაისათვის	აქედან 1938 წლის გაზაფხულზე	შენიშვნა
1	ბათომის	75,0	15	
2	ქობულეთის	120,0	45	
3	აჭარის საბჭ. მეურნ. ტრესტი	60,0	5	
	სულ აჭარის ასსრ რესპუბ-ში . .	**555,0**	**55**	
4	გალის	200,0	25	
5	ოჩემჩირის	100,0	15	
	სულ აფხაზეთის ასსრ რესპ. . .	**300,0**	**40**	
6	მახარაძის	750,0	55	
7	ჩოხატაურის	120,0	15	
8	ლანჩხუთის	370,0	30	
9	სამტრედიის	15,0	—	
10	წულუკიძის	40,0	—	
11	ჭუთაისის	5,0	—	
12	ტყიბულის	20,0	—	
13	ცხაკაიას	90,0	10	
14	ზუგდიდის	270,0	45	
15	გეგეჭკორის	160,0	32	
16	წალენჯიხის	110,0	23	
17	ჩხოროწყუს	90,0	20	
18	ხობის	25,0	—	
	სულ რესპუბლიკაში	**2920,0**	**325**	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4

ბ ე ბ ო ა

ჩაის უხეში ფოთლის კრეფისა (ლაო-ჩაისათვის) ტრესტ „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებში და ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციებზე 1938 წლისათვის.

№№ რიგზე	საბჭოთა მეურნეობების დასახელება	უხეში ფოთლის მოკრეფის წლიური ბაგა ლაო-ჩაისათვის	აქედან 1938 წლის გაზაფხულზე	შენიშვნა
1	სალიბაურის საბჭ. მეურნეობა	50	7	
2	ჩაქვის „	245	20	
3	ოჩხამურის „	140	7	
4	ლანჩხუთის „	145	8	
5	ნასაკირალის „	110	7	
6	წულუკიძის „	30	—	
7	დიდი-ჭყონის „	50	—	
8	ნარაზენის „	60	—	
9	ჯოლეჯიანის „	60	15	
10	ლესიჭინის „	30	5	
11	წალენჯიხის „	35	—	
12	აჩიგვარის „	65	3	
13	კოდორის „	30	3	
	სულ ტრესტი „საქართველოს ჩაის“ საბჭ. მეურნეობებში	1050	75	
	ჩაისა და სუბტროპიკ. კულტ. საკ. სამეცნ.-კვლევითი ინსტ. ხაზით . . .	30	—	

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 5.

ბ ე ბ მ ა

საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორსა და აჭარის ასსრ მიწსახკომის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფისა რაიონებისა და ხარისხის მიხედვით 1938 წლისათვის

№№ რიგზე	რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	სულ ტონა	აქედან					
			I ხარისხი		II ხარისხი		III ხარისხი	
			%	ტონა	%	ტონა	%	ტონა
1	ბათუმის	720,0	85	612,0	9	64,8	6	43,2
2	ქობულეთის	3600,0	85	3060,0	7	252	8	288
3	აჭარის ასსრ მიწსახკომის ტრესტის საბჭოთა მეურნეობები . .	300,0	85	255	7	21	8	24
	სულ აჭარის ასს რესპუბლიკაში	**4620,0**	—	**3927,0**	—	**337,8**	—	**355,2**
4	გალის რაიონი	1750,0	70	1225,0	19	332	11	193
5	ოჩემჩირის	920,0	70	644,0	19	174,8	11	101,2
	სულ აფხაზეთის ასს რესპუბლიკ.	**2670,0**	**70**	**1869,0**	**19**	**506,8**	**11**	**294,2**
6	მახარაძის	6350,0	77,4	4914,9	12,8	812,8	9,8	622,3
7	ჩოხატაურის	1050,0	73	767,0	16	168	11	115
8	ლანჩხუთის	3200,0	73	2336,0	16	512	11	352
9	სამტრედიის	200,0	70	140	19	38	11	22
10	წულუკიძის	470,0	70	329,0	19	89	11	52
11	ქუთაისის	180,0	70	126	19	34,2	11	19,8
12	ტყიბულის	375,0	70	262,0	19	71	11	42
13	ცხაკაიას	900,0	70	630,0	19	171	11	99
14	გეგეჭკორის	1358,0	70	950,6	19	258	11	149,4
15	ზუგდიდის	2450,0	70	1715,0	19	465,5	11	269,5
16	წალენჯიხის	837,0	70	586,0	19	159	11	92
17	ჩხოროწყუს	750,0	70	525,0	19	142	11	83
18	ხობის	280,0	70	196,0	19	53	11	31
	სულ საქართველოს სსრ	**25690,0**	**75**	**19273,0**	**15**	**3818,0**	**10**	**2599,0**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდი 53

დანართი № 6.

ზ ე ზ ო ა

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაისა და სუბტროპიკ. კულტ. საკ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პლანტაციებზე ჩაის ძირითადი მწვანე ფოთლის კრეფისა ხარისხის მიხედვით 1938 წლისათვის.

№№ რიგზე	ჩაის საბჭოთა მეურნეობანი	სულ ტონა	მათ შორის							
			I ხარისხი				II ხარისხი		III ხარისხი	
			%	ტონა	აქედან „საქ. თაიგული“	აქედან „ექსტრა“	%	ტონა	%	ტონა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სალიბაურის	400	86	344,0	5,0	10,0	10	40,0	4	16,0
2	ჩაქვის	1650	72	1.188,0	15,0	50,0	15	248,0	13	214,0
3	ოჩხამურის	1300	68	884,0	3,0	4,0	18	234,0	14	182,0
4	ლაითურის	1200	71	852,0	2,0	3,5	16	192,0	13	156,0
5	ნასაკირალის	890	74	658,6	—	—	13	115,7	13	115,7
6	წულუკიძის	255	80	204,0	—	—	15	38,3	5	12,7
7	დიდი-ჭყონის	571	80	456,8	—	—	15	85,7	5	28,5
8	ნარაზენის	837	76	636,1	—	—	16	133,9	8	67,0
9	ჯოგეჯიანის	572	84	480,5	—	10,0	13	74,4	3	17,1
10	ლესიჭინის	214	85	181,9	—	—	13	27,8	2	4,3
11	წალენჯიხის	371	80	296,8	—	—	14	51,9	6	22,3
12	აჩიგვარის	540	73	394,2	—	10,0	15	81,0	12	64,8
13	კოდორის	250	85	212,5	—	—	12	30,0	3	7,5
	სულ ჩაის საბჭოთა მეურნეობებში	**9050**	**75,0**	**6789,4**	**25,0**	**67,5**	**14,9**	**1352,7**	**10,1**	**907,9**
	ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკ. სამეცნ.-კვლევ. ინსტ. პლანტაციები	260	75	195,0	—	—	15	39,0	10	26,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს დებულება ჩაის ინსპექციის შესახებ.

10. წინადადება მიეცეს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად ჩაის ფოთლის მიმღები დამამზადებელი პუნქტების ქსელი და ამ პუნქტების საერთო რაოდენობა აიყვანოს 450-მდე.

11. წინადადება მიეცეს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ჩაის ფოთლის მასობრივი ჩაბარების პერიოდში გაადიდოს დამამზადებელ პუნქტებზე და ჩაის ფაბრიკებში მიმღებთა რაოდენობა და უზრუნველჰყოს დამამზადებელი პუნქტები სასწორების საჭირო რაოდენობით, ამასთან არ დაუშვას ჩამბარებლებისაგან ჩაის ფოთლის მიღების დაგვიანება.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, რაიმიწგანების გამგეებს, მტს-ბის დირექტორებს, ჩაის კონტორების უფროსებს მოაწყონ ჩაის ფოთლის მიღება ცალკეული კოლმეურნეობებისაგან, ბრიგადებისაგან, რგოლებისა და კოლმეურნეებისაგან და ამ ფოთლის ჩაბარება უახლოეს დამამზადებელ პუნქტში ან ჩაის ფაბრიკაში კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საშუალებებით, ამასთან უზრუნველჰყონ ჩაის პლანტაციების მოვლის მაღალხარისხოვანი ჩატარება აგროწესებით დადგენილ ვადებში.

13. დაევალოს საქ. სსრ მიწსახკომს უზრუნველჰყოს საჭირო რაოდენობის ხელისა და ათწილადი სასწორების შემოტანა და მათი მიწოდება კოლმეურნეობებისათვის.

დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიაღმასკომებსა და საქალაქო საბჭოებს უზრუნველჰყონ ჩაის ფოთლის მოსაკრეფად საჭირო კალათების და სხვა ინვენტარის დამზადება კოლმეურნეობების მიერ.

14. აიკრძალოს ჩაის უხეში ფოთლის მოკრეფა და მიღება ჩაის ძირითადი ფოთლის კრეფის პერიოდში.

15. დაევალოს ჩაის რაიონების რაიაღმასკომებს ჩაატარონ დამამზადებელ პუნქტებთან მისასვლელი გზების რემონტი და მოიყვანონ ისინი ისეთ მდგომარეობაში, რომ მათზე გავლა შეეძლოს ავტომანქანებს.

16. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს და ტრესტ „საქართველოს ჩაის“, ამინდის არახელსაყრელი პირობების შემთხვევაში, ჩაის უხეში ფოთლის საერთო გეგმიდან—4000 ტონა—მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაამზადოს—400 ტონა უხეში ფოთოლი ლაო-ჩაის დასამზადებლად, აქედან ტრესტ „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობების ხაზით—75 ტონა და საკოლმეურნეო—გლეხურ სექტორში—325 ტონა.

17. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიაღმასკომებსა და საქალაქო საბჭოებს მოაწყონ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა ზაფხულის მთელი პერიოდის განმავლობაში, რათა არ იქნას დაშვებული ფოთლის მოკრეფის დაგვიანება და მისი გაუხეშება.

18. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს და ტრესტ „საქართველოს ჩაის" ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს განაცხადი, თუ რა რაოდენობის ავტო-საფარები ესაჭიროებათ მათ როგორც საბჭოთა მეურნეობისა და დამამზადებელი პუნქტებისათვის, ისე კოლმეურნეობებისათვისაც.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ სკს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 11. № 323.
თბილისი.

---

54. 1938 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წ. 15 მარტის დადგენილებისა „1938 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1938 წ. № 10 მუხ. 60), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1938 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა 1800 ტონის რაოდენობით, შემდეგი განაწილებით რაიონებისა და სექტორების მიხედვით:

რაიონი	კოლმეურნეობები			ერთპიროვნული მეურნეობები			სულ	
	სათესი ფართობი ჰექტარობით	1 ჰექტარზე ბამბის ჩაბარ. ნორმა ნატურანაზღ. ჩაუთვლელად (ცენტ.)	კონტრაქტაციის გეგმა (ტონობით)	სათესი ფართობები (ჰექტარობით)	1 ჰექტარზე ბამბის ჩაბარ. ნორმა (ცენტ.)	კონტრაქტაციის გეგმა (ტონობით)	სათესი ფართობი (ჰექტარობით)	კონტრაქტაციის გეგმა (ტონობით)
ბორჩალოს	550	8,9	489,5	159	10,3	157,0	700	646,5
ლუქსემბურგის	200	9,4	188,0	100	10,8	108,0	300	296,0
ყარაიას	950	8,5	807,5	50	10,0	50,0	1000	857,5
სულ . . .	1700	8,74	1485,0	300	10,5	315,0	2000	1800,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს ბორჩალოს, ლუქსემბურგის და ყარაიას რაიალმასკომებს დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულების, რაიმიწგანების გამგეების, მტს-ების დირექტორების და შულავერის ბამბის საწმენდი ქარხნის დირექტორის მონაწილეობით არაუგვიანეს 1938 წლის 5 აპრილისა დაიყვანონ თვითეულ კოლმეურნეობამდე და სასოფლო საბჭომდე (ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით) ნედლი ბამბის სახელმწიფოსათვის კონტრაქტაციით ჩაბარების გეგმა და ნორმები.

3. უფლება მიენიჭოს ბორჩალოს, ლუქსემბურგის და ყარაიას რაიალმასკომებს იმ შემთხვევებში, როდესაც სათესი ფართობების სექტორული განაწილება არ ემთხვევა ამ დადგენილებით დაწესებულ განაწილებას, შესცვალონ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში ბამბის ჩაბარების ნორმები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნედლი ბამბის კონტრაქტაციის დაწესებული რაიონობრივი გეგმის უცილობლივ შესრულება.

4. დამტკიცდეს ბამბის ნატურანაზღაურების გეგმა 400 ტონის რაოდენობით, აქედან:

ბორჩალოს მტს-ის ხაზით	127,0	ტონა
ყარაიას „ „	230,0	„
ლუქსემბურგის „	43,0	„

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა მიერ ნატურანაზღაურების ხაზით ნედლი ბამბის ჩაბარება სწარმოებს ანგარიშების მიხედვით მტს-ების მიერ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა შესაბამისად.

ნატურანაზღაურების სახით ნედლი ბამბის ჩაბარების ოდენობა დაზუსტებულ უნდა იქნას წლის დამლევს, მიღწეული მოსავლიანობის და მტს-ების მიერ შესრულებული მუშაობის შესაბამისად.

5. გაუქმდეს წინათ არსებული წესი, რომლის მიხედვითაც, კონტრაქტაციის გეგმის გარდა, რაც ბამბის თესვის წინ განისაზღვრებოდა, მოსავლის აღების წინ აგრეთვე ხდებოდა ბამბის დამზადების გეგმის დამტკიცება.

დაწესდეს 1938 წლისათვის მთლიანად სექტორებისა და შემოსვლის წყაროების მიხედვით ნედლი ბამბის დამზადების შემდეგი გეგმა:

(ტონობით)

	დამზადების გეგმა	მ ა თ შ ო რ ი ს	
		კონტრაქ-ტაციით	ნატურანაზღა-ურებით
ბორჩალოს	773,5	646,5	127,0
ლუქსემბურგის	339,0	296,0	43,0
ყარაიას	1087,5	857,5	230,0
ს უ ლ	1800,0	1800,0	400,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დატოვებულ იქნას უცვლელად 1938 წლისათვის კონტრაქტაციის წესით ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ჯილდო წანამატების მომქმედი სისტემა, აგრეთვე ფულადი ავანსების გაცემის 1937 წელს მომქმედი ოდენობა და წესი (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 21 მუხ. 80).

7. ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის (კონტრაქტაცია ნატურანაზღაურებასთან ერთად) ჯილდო-წანამატების გამოანგარიშება მოხდეს თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით ბამბის ფაქტიურად დათესილი ფართობიდან, მაგრამ არაუმცირეს იმ ფართობისა, რომელიც გათვალისწინებულია კონტრაქტაციის ხელშეკრულებით.

8. დატოვებულ იქნას 1938 წლისათვის ბამბის ჩამბარებლებისათვის ზეთის, კოპტონის და ბამბა-ლინტერის შეღავათიან ფასებში მიცემის 1937 წ. მომქმედი ნორმები (სსრკ. კან. კრ. 1937 წ. № 21 მუხ. 80).

9. ნედლი ბამბის კონტრაქტაცია დაეკისროს შულავერის ბამბის საწმენდ ქარხანას და დაევალოს მას დაამთავროს კონტრაქტაცია არაუგვიანეს 1938 წლის 15 აპრილისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. აპრილის 2. № 407.
თბილისი.

დამტკიცებულია საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 20 აპრილს № 410 დადგენილებით.

55. წესები 1938 წლის საზაფხულო კრეფის ჩაის ძირითადი ფოთლის მიღებისა

I.

1. ტრესტ „საქართველოს ჩაი"-ს ფაბრიკები 1938 წლის სეზონის განმავლობაში საზაფხულო კრეფის ჩაის ძირითად მწვანე ფოთოლს ღებულობენ შემდეგი ხარისხობრივი შემადგენლობით:

ა) პირველი ხარისხის ფოთოლი.
ბ) მეორე „ „
გ) მესამე „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

2. ხარისხის მიხედვით ჩაის ძირითადი ფოთლის ღირებულება დაწესებულია:

ა) პირველი ხარისხის ფოთოლზე 3 მან. 10 კაპ. ერთ. კგრ.
ბ) მეორე „ „ 2 მან. 30 კაპ. „ „
გ) მესამე „ „ 1 მან. — კაპ.

III.

3. პირველ ხარისხათ ითვლება ფოთლის ისეთი წყება, რომელიც შესდგება ახალგაზრდა ნორმალური ნაზი დუყებისაგან, რომელსაც აქვს არა უმეტეს 3 ფოთლისა ღეროთი, მოწყვეტილი უშუალოდ მესამე ფოთლის ფუძესთან ზედა მოზარდი კვირტით. ნაზი ერთფოთლიანი და ორფოთლიანი ყრუ დუყები მიიღება პირველ ხარისხიანთან ერთად განუსაზღვრელად მისი პროცენტული რაოდენობისა.

შენიშვნა 1. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ხარისხის წყების ფოთოლში შერეულია დუყები გაუხეშებული ქვედა ფოთლებით, ჩამბარებელი ვალდებულია თვითონ გადაარჩიოს ასეთი დუყები.

შენიშვნა 2. ჩაის დუყების სათანადო ფიზიკური სინაზე ხასიათდება მოწყვეტილი დუყის ღეროს ქვედა ნაწილის სირბილით, რომელიც დუყის ორ თით შორის (საჩვენებელ და ცერის) მოთავსების და ცერის ფრჩხილით დაწოლის შემდეგ წყდება ორ ნაწილად და აგრეთვე სხვა ნიშნებით, რომლითაც მიღებულია ნაზი დუყების გარჩევა გაუხეშებულისაგან.

IV.

4. მეორე ხარისხათ ჩაითვლება:

ა) ჩაის ფოთლის ისეთი წყება, რომელშიაც გაუხეშებული ფოთლებიანი და ღეროებიანი დუყების რაოდენობა ნორმალურ და ყრუ დუყებში რიცხობრივად არ აღემატება 20 პროცენტს;

ბ) პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, რომელიც არაწესიერი გადაზიდვის გამო დათესილია და ემჩნევა მექანიკური დაზიანება მაგრამ შენარჩუნებული აქვს თავისი სინაზე;

გ) პირველი ხარისხის ფოთოლი, რომელიც დროულად ვერ იქნა მიტანილი ფაბრიკაში და დამამზადებელ პუნქტზე, მომჭკნარია, მაგრამ არა აქვს რაიმე ცუდი ან გარეშე სუნი;

დ) ფაბრიკაში მიტანილი პირველი ხარისხის ფოთოლი, რომელიც დაბეკნილია ჭურჭელში, შეხურებულია და ფოთლის მასაში ტემპერატურა არ აღემატება 30°C.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

5. მესამე ხარისხათ ჩაითვლება ფოთლის ის წყება, რომელშიაც გაუხეშებული ფოთლებიანი და ღეროებიანი დუყების რაოდენობა ნორმალურ და ყრუ დუყებში რიცხობრივად აღემატება 20 პროცენტს.

6. მესამე ხარისხში მიიღება აგრეთვე მოუხეშო (ხოლო არა უხეში) ზაფხულში ანაკრეფი ორფოთლიანი ყრუ დუყები. მესამე ხარისხათ ჩაითვლება აგრეთვე 2-რე ხარისხის ფოთლის ის წყება:

ა) რომელიც დროულად ვერ იქნა მიტანილი ფაბრიკაში ან დამამზადებელ პუნქტზე, დამჭკნარია და არა აქვს რაიმე გარეშე სუნი;

ბ) გადაზიდვისას დათელილი, მექანიკურად დაზიანებული, მაგრამ არა აქვს დაკარგული თავის სინაზე;

გ) ფოთოლი, რომელიც დაბეკნილია ჭურჭელში, 30 გრადუსზე მეტი ტემპერატურით, მაგრამ რომელიც არაა გაწითლებული.

შენიშვნა: დანესტიანებული, ცვარით ან წვიმით დასველებული ფოთლის წყება პირველი, მეორე და მესამე ხარისხის, მიიღება წონაში დაკლებით 3-დან 10%-მდე სისველის მიხედვით.

VI.

7. ფაბრიკების მიერ არ იქნება მიღებული როგორც ხარისხიანი მასალა:

ა) ნორმალური და ყრუ დუყები უხეში ფოთლებით;

ბ) ცალკეული უხეში ფოთლები;

გ) გაფუჭებული ნედლეული ცუდი და გარეშე სუნით, აგრეთვე ფოთლები რომელთაც დაკრავს სიწითლე, მთლიანად გაწითლებულია (გადამწვარი) და შეფორებულია;

დ) ფოთლის წყება, რომელშიაც ურევია მეოთხე ფოთოლი ნორმალურ დუყზე და მესამე ფოთოლი ყრუ დუყზე, და აგრეთვე დანაგვინებულია (გვიმრით, ბალახებით და სხვ.), ორივე შემთხვევაში დაიშვება არაკონდიციური დუყების და შენარევის გამორჩევა თვით ჩამბარებლის საშუალებით;

ე) ხელოვნურად დასველებული ჩაის ფოთოლი.

VII

8. ფაბრიკებს ეკრძალება მიიღონ ჩაის ფოთოლი არეული ერთ ჭურჭელში პროცენტულ შეფარდებით ხარისხის მიხედვით; თვითეული წყება მიღებული უნდა იქნას რომელიმე ერთი ხარისხათ.

9. დაწუნებული ფოთლის წყებაზე, ე. ი. თუ იგი არ შეესაბამება აღნიშნულ კონდიციებს, მიმღები ვალდებულია შეაყენოს აქტი ფოთლის ჩამბარებლის თანდასწრებით და დაუყონებლივ გაუგზავნოს ეს აქტი მ. ტ. ს. ან მეურ-

ნეობის დირექტორს, ასლი კი ტრესტ „საქ. ჩაი"-ს და ხარისხის შემმოწმებელ სახელმწიფო სარაიონშორისო ინსპექტორს. დაწუნებული ფოთოლი ანაზღაურებელი უნდა იქნას ერთი კილოგრამი 25 კაპ.

ფოთლის დაწუნებული წყება არ ჩაითვლება ჩაბარების გეგმაში.

VIII

10. ფაბრიკები ვალდებულნი არიან მიიღონ ჩაის მწვანე ფოთოლი დამამზადებელ პუნქტებზე დილის 9 საათიდან ღამის 10 საათამდე.

11. საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ინდივიდუალური მეურნეები ფოთლის ჩაბარებას ჩაის ფაბრიკებში ან დამამზადებელ პუნქტებზე უნდა აწარმოებდნენ არა ნაკლებ ვიდრე სამჯერ დღეში;

12. საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და ინდივიდუალურმა მეურნეებმა დილით მოკრეფილი ფოთოლი უნდა მიიტანონ ჩასაბარებლად დილის 12 საათამდე. დილის 12 საათის შემდეგ, მოკრეფილი ფოთოლი უნდა იქნას მიტანილი ორჯერ არა უგვიანეს დღის 4 საათისა და არა უგვიანეს საღამოს 10 საათისა.

13. ჩაის ფოთლის მიმღები ვალდებულია მისცეს ჩამბარებელს ახსნა-განმარტება ყველა საკითხებზე ფოთლის შენახვისა და გადაზიდვის შესახებ.

14. ყველა სადაო საკითხები, რომელიც წამოიჭრება ჩამბარებელსა და მიმღებს შორის ძირითადი ჩაის მწვანე ფოთლის მიღების ამა წესებზე გადაჭრილი უნდა იქნეს ხარისხის შემმოწმებელ სახელმწიფო სარაიონოშორისო ინსპექტორის მიერ.

---

56. საქართველოს სსრ-ში 1938 წელს ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მთლიანად საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში ზეთოვანი კულტურების საკალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის გეგმა 68.930 ცენტნერის რაოდენობით, თანახმად დანართებისა №№ 1, 2, მათ შორის კულტურების მიხედვით:

კულტურების დასახელება	სულ აქედან სახელმწიფო ფონდი	
	ცენტნერობით	
სოია	55290	1700
არახისი	11200	5540
პერილა	1500	255
ხუჭუჭა სელი	940	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებზე ზეთოვანი კულტურების ნათესების კონტრაქტიცია არ იწარმოებს.

2. არასწორად ჩაითვალოს ზეთოვანი კულტურების ორმაგი დაგეგმვის, კონტრაქტაციისა და დამზადების დღემდე არსებული პრაქტიკა და დაწესდეს, რომ სახელმწიფო კონტრაქტაციის გეგმა წარმოადგენს დამზადების გეგმასაც, რისი შესრულებაც აუცილებელია კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

3. დაწესდეს 1938 წლისათვის ხუჭუჭა სელის დასამზადებელი ფასი 75 მანეთი ცენტნერში, ხოლო დანარჩენი ზეთოვანი კულტურების მიმართ დატოვებულ იქნას 1937 წელს მომქმედი დასამზადებელი ფასები.

4. შენარჩუნებულ იქნას 1938 წლისათვის ჩაბარების ვადები, აგრეთვე 1937 წელს მომქმედი ჯილდო-წანამატების გაცემა ზეთოვანი კულტურების საკონტრაქტაციო ხელშეკრულების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

5. ფულადი ავანსების მიცემა კოლმეურნეობებისათვის თვითეულ დაკონტრაქტებულ ცენტნერში მოხდეს შემდეგი რაოდენობით:

სოიაში	37 მან.	. . პერილაში . . .	50 მან.
არახისში . . .	75 „	. . ხუჭუჭა სელში . .	37 „

ფულადი ავანსები გაიცეს ორ ვადაში: 50% საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადებისას და დანარჩენი 50% მეორე გათოხნის და მწკრივთა შორის დამუშავების შემდეგ, მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება კოლმეურნეობის თავმჯდომარის და რაიმიწგანის ან მტს-ის აგრონომის მიერ ხელმოწერილი აქტი აღნიშნული სამუშაოების კეთილხარისხოვნად ჩატარების შესახებ.

6. დაწესდეს 1938 წლისათვის, რომ სახელმწიფოსათვის კონტრაქტაციით ჩაბარებული და კონტრაქტაციის წესით გეგმის ზევით ჩაბარებულ პერილაში კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს მიეცემათ მარცვლეული კულტურები დაწესებული ეკვივალენტით.

7. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ერთი დეკადის ვადაში დაიყვანონ ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმები კოლმეურნეობებამდე და სასოფლო საბჭოებამდე.

8. ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაცია ახალქალაქის, საგარეჯოს, ბორჩალოს, ქუთაისის, სემტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურის, აბაშის ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, მახარაძის, ლანჩხუთის, ფოთის რაიონებში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ დაეკისროს საკავშირო გაერთიანება „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას, ხოლო ბოგდანოვკის, წალკის, ყარაიას, წულუკიძის, ვანის, ბაღდათის, ჩხარის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როწყუს და ჩოხატაურის რაიონებში—ცეკავშირს („ზაგოტზერნოსთან“ დადებულ ხელშეკრულებათა საფუძვლებზე).

ჯიშიანი ნათესების კონტრაქტაცია ქუთაისის, ზუგდიდის და ცხაკაიას რაიონების მეთესლეობის კოლმეურნეობებში დაეკისროს სახჯიშფონდის საქართველოს კანტორას.

9. დაევალოს საკავშირო გაერთიანება „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას, ცეკავშირს და სახჯიშფონდის საქართველოს კანტორას დაამთავრონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება არაუგვიანეს 1938 წლის 15 მაისისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. აპრილის 10 № 433
თბილისი.

ზ ე ზ მ ა

ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა 1938 წლისათვის (ცენტნეროობით)

	სოია				არაბისი		პერილა		ხუჭუჭა სელი		
	კოლმეურნ.	ერთპ. მეურნ.	სულ	აქედან სახელმწ.	კოლმეურნ.	აქედან სახელმწ.	კოლმეურნ.	აქედან სახელმწ.	კოლმეურნ.	ერთპ. მეურნ.	სულ
1. ახალქალაქი	—	—	—	—	—	—	—	—	315	33	348
2. ბოგდანოვკა	—	—	—	—	—	—	—	—	225	154	379
3. წალკა	—	—	—	—	—	—	—	—	180	33	213
4. ყარაია	—	—	—	—	690	—	—	—	—	—	—
5. საგარეჯო	—	—	—	—	20	—	—	—	—	—	—
6. ბორჩალო	—	—	—	—	570	—	—	—	—	—	—
7. ქუთაისი	4875	135	5010	1000	2525	2525	150	150	—	—	—
8. სამტრედია	4160	230	4390	—	480	—	150	—	—	—	—
9. წულუკიძე	2750	270	3020	—	345	—	120	—	—	—	—
10. ვანი	1820	460	2280	—	1650	—	225	—	—	—	—
11. ბაღდათი	1560	335	1895	—	—	—	—	—	—	—	—
12. ზესტაფონი	2750	459	3209	—	—	—	—	—	—	—	—
13. ჩხარი	2500	378	2878	—	—	—	—	—	—	—	—
14. ჭიათურა	2760	650	3410	—	—	—	—	—	—	—	—
15. ორჯონიკიძე	1530	78	1608	—	—	—	—	—	—	—	—
16. ტყიბული	475	170	645	—	—	—	—	—	—	—	—
17. აბაშა	5070	580	5650	—	1680	—	255	—	—	—	—
18. ცხაკაია	3125	675	3800	—	1210	1210	150	—	—	—	—
19 გეგეჭკორი	2625	270	2895	—	230	—	90	—	—	—	—
20. ზუგდიდი	2340	290	2630	700	1800	1800	105	105	—	—	—
21. ხობი	1950	870	2820	—	—	—	105	—	—	—	—
22. წალენჯიხა	600	130	730	—	—	—	—	—	—	—	—
23. ჩხოროწყუ	840	520	1360	—	—	—	—	—	—	—	—
24. მახარაძე	2125	—	2125	—	—	—	—	—	—	—	—
25. ლანჩხუთი	2750	—	2750	—	—	—	—	—	—	—	—
26. ჩოხატაური	960	78	1038	—	—	—	—	—	—	—	—
27. ფოთი	60	92	152	—	—	—	—	—	—	—	—
28. აჭარის ასსრ	375	620	995	—	—	—	—	—	—	—	—
29. აფხაზეთის ასსრ	—	—	—	—	—	—	150	—	—	—	—
სულ	48000	7290	55290	1700	11200	5535	1500	255	720	220	940

№ 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

ნ ო რ მ ე ბ ი

ზეთოვანი კულტურების ჩაბარებისა კონტრაქტაციის წესით 1938 წლის მოსავლიდან.

რაიონები	სოია		არახისი	პერილა	ხუჭუჭა სელი	
	კოლ-მეურნ.	ერთპირ. მეურნ.	კოლ-მეურნ.	კოლ-მეურნ.	კოლ-მეურნ.	ერთპირ. მეურნ.
1. ახალქალაქი	—	—	—	—	0,9	1,1
2. ბოგდანოვკა	—	—	—	—	0,9	1,1
3. წალკა	—	—	—	—	0,9	1,1
4. ყარაია	—	—	2,3	—	—	—
5. საგარეჯო	—	—	2,0	—	—	—
6. ბორჩალო	—	—	2,3	—	—	—
7. ქუთაისი	2,5	2,7	3,2	1,5	—	—
8. სამტრედია	2,6	2,9	2,4	1,5	—	—
9. წულუკიძე	2,5	2,7	2,3	1,5	—	—
10. ვანი	2,6	2,9	3,0	1,5	—	—
11. ბაღდათი	2,4	2,6	—	—	—	—
12. ზესტაფონი	2,5	2,7	—	—	—	—
13. ჩხარი	2,5	2,7	—	—	—	—
14. ჭიათურა	2.4	2,6	—	—	—	—
15. ორჯონიკიძე	2,4	2,6	—	—	—	—
16. ტყიბული	1,7	1,9	—	—	—	—
17. აბაშა	2,6	2,9	2,8	1,5	—	—
18. ცხაკაია	2,5	2,7	2,7	1,5	—	—
19. გეგეჭკორი	2,5	2,7	2,3	1,5	—	—
20. ზუგდიდი	2,6	2,9	3,0	1,5	—	—
21. ხობი	2,6	2,9	—	—	—	—
22. წალენჯიხა	2,4	2,6	—	—	—	—
23. ჩხოროწყუ	2,4	2,6	—	—	—	—
24. მახარაძე	2,5	2,7	—	—	—	—
25. ლანჩხუთი	2,5	2,7	—	—	—	—
26. ჩოხატაური	2,4	2,6	—	—	—	—
27. ფოთი	2,0	2,3	—	—	—	—
28. აჭარის ასსრ	2,5	2,7	—	—	—	—
29. აფხაზეთის ასსრ	—	—	—	—	—	—
ჩაბარების საშუალო ნორმა	2,5	2,7	2,8	1,5	0,9	1,1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაბარდეს პირველ
რიგში ხელწერილის ქვეშ

ფასი 30 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ხ. კ. ს-ოს / საქმ. მართველობა 1938 წ. № 23 პ/მ. რედაქტორი **ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 26×94 სმ; 1¾ ბეჭვდ. ფურც.; 1 ბეჭვდ. ფურც. 48.5000 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 29/IV, ხელმოწერილია დასაბეჭდავად 23/VI; ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № 2963 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 501